GRUNI

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

სტრატეგიული მნიშვნელობის საქმიანობა

2025 წელი

ბიზნესისა და მართვის სკოლა

დეკანი	პროფესორი ვახტანგ ჭარაია
დეკანის მოადგილე	ქეთევან მაისურაძე
მარკეტინგისა და მენეჯმენტის პროგრამების ხელმძღვანელი	პროფესორი თენგიზ თაქთაქიშვილი
ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი გიგი ყუფარაძე
ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე	პროფესორი მაკა ფირანაშვილი
ფინანსების პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი თამარ გამსახურდია
დეკანის თანაშემწე	თიკო რობაქიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მისიაა შექმნას მაღალი აკადემიური კულტურა და ინტელექტუალური სიმდიდრე, დაამკვიდროს მაღალი სამეცნიერო-კვლევითი კულტურა და საზოგადოებას მაღალი სტანდარტის სერვისი შესთავაზოს. ამ ფასეულობებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს კვლევების წახალისების, განათლების ხარისხის სრულყოფის, საერთაშორისო კავშირების გაღრმავებისა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს გაძლიერებისთვის.



პირველად საქართველოში



- გრუნიმ, პირველმა ქართულ უნივერსიტეტებს შორის, წარმატებით გაიარა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის - **QS Stars** კომპლექსური შეფასება და მოიპოვა **3 ვარსკვლავი (Rated for Excellence)**, მათ შორის 4 ვარსკვლავი სწავლებასა და დასაქმების კომპონენტში. დადებითად შეფასდა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხი და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომა, რასაც ადასტურებს სტუდენტთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი (87%), აკადემიური პროგრამების დასრულების მცვენებელი (99.2%), კურსდამთავრებულთა დასაქმება (84.3%), მრავალეროვნული სტუდენტური კონტინგენტი (21 ეროვნება), საერთაშორისო კვლევითი პარტნიორების სიმრავლე (63 ერთეული) და უამრავი სხვა.

- გრუნის **ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) სამაგისტრო პროგრამა მსოფლიო მასშტაბით წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამებს შორის მოხვდა და 201+ პოზიცია დაიკავა,** რაც ადასტურებს პროგრამის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობასა და ხარისხს.

- **ჩამოყალიბდა ნეირომარკეტინგის ლაბორატორია**, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში. მისი ფუნქციონირებისთვის შეძენილ იქნა **სპეციალიზებული ძვირადღირებული აპარატურა.** ლაბორატორია მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების პროცესში ინოვაციური კვლევითი მეთოდების ინტეგრირებას, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარების განვითარებას და გამოყენებითი კვლევების განხორციელებას მარკეტინგისა და მომხმარებლის ქცევის ანალიზის მიმართულებით. ლაბორატორიის ინფრასტრუქტურისა და კვლევითი შესაძლებლობების **შემდგომი განვითარება და ტექნოლოგიური დახვეწა დაგეგმილია 2026 წელს**, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს უნივერსიტეტის კვლევით პოტენციალსა და ინოვაციურ ეკოსისტემას.

- GRUNI პირველი და ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოდან, რომელმაც შვეიცარიულ **WORLD ECONOMIC FORUM**-თან დაიწყო თანამშრომლობა და გამოუშვა მსოფლიო მასშტაბის 6 ერთობლივი კვლევა, მათ შორის: Travel & Tourism Development Index; Global Gender Gap,The Global Risks Report და სხვები. 2025 წელს გამოცემული ერთობლივი კვლევები შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ ბმულებში, კერძოდ: **რისკებისა და გენდერული უთანასწორობის ანგარიშები.**

https://reports.weforum.org/docs/WEF_Global_Risks_Report_2025.pdf

https://reports.weforum.org/docs/WEF_GGGR_2025.pdf

- **აღმოსავლეთ ევროპაში პირველი სტუდენტური საინვესტიციო ლაბი,** წარმატებულ ფუნქციონირებას აგრძელებს და უკვე შემოსავალს აგენერირებს. ლაბი სტუდენტებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, რეალურ დროში მართონ **რეალური საინვესტიციო პორტფელები** და ის სრულად იმართება სტუდენტების მიერ, რა თქმა უნდა აკადემიური და პროფესიული ზედამხედველობით, **მიმდინარე საინვესტიციო პორტფელი შემდეგნაირად გამოიყურება:** ETHA — **9.8%;** GLDM — **13.59%;** NIO — **5.3%;** LAC — **10.71%;** Goldman Sachs (GS) — **15.32%;** Abbott Laboratories (ABT) — **5.47%;** Target Corporation (TGT) — **10.66%;** თავისუფალი თანხა — **29.64%.** პორტფელი **ზრდის ფაზაშია**, ხოლო საერთო შედეგი შეადგენს **+24.04%-ს**, რაც ნათლად აჩვენებს სტუდენტების საინვესტიციო გადაწყვეტილებების ეფექტიანობას და მათ მიერ რეალურ ბაზარზე მიღებულ პრაქტიკულ გამოცდილებას. პროექტი ხორციელდება „ტრეიდერთა ჰაბთან“ ერთობლივი თანამშრომლობით.

პირველად გრუნიში

- 2025 წელს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში შეიქმნა **ხელოვნური ინტელექტის (AI) ლაბორატორია**, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში, გამოყენებითი და კვლევითი პროექტების განვითარებას და სტუდენტთა პრაქტიკული კომპეტენციების გაძლიერებას ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით. ლაბორატორია საშუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს ჩაერთონ მონაცემთა ანალიზის, მანქანური სწავლების, ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების პრაქტიკულ გამოყენებაში.

International Core Academy of Sciences and Humanities
Invitation Letter
Dr. Vakhtang Charaia
August, 2025

- გრუნის რექტორის მოადგილე, ბიზნესისა და მართვის და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლების დეკანი, პროფესორი **ვახტანგ ჭარაია ჰონგ-კონგის მეცნიერებათა აკადემიის (CORE) წევრად აირჩიეს.** იგი მესამე ქართველი მეცნიერი და მეორე ქართველი ეკონომისტია, ვინც საქართველოდან აკადემიის საბჭოს მიერ იქნა არჩეული. აღნიშნული აკადემია წამყვანი სამეცნიერო ცენტრია სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით რეგიონში.

- წლის დასაწყისში ბიზნესისა და მართვის სკოლის მიერ შეიქმნა **GRUNI Analytics-ის პლატფორმა**, როგორც ანალიტიკურ-კვლევითი პლატფორმა, რომელიც მოიცავს ზოგად ანალიტიკურ თემებსა და საუნივერსიტეტო განვითარების საკითხებს. პლატფორმის ფარგლებში მუშავდება მრავალმხრივი ინფორმაცია ეკონომიკის, მენეჯმენტის, ფინანსების, საჯარო პოლიტიკისა და საგანმანათლებლო პროცესების შესახებ, რაც ხელს უწყობს აკადემიური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მხარდაჭერასა და უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის გაძლიერებას.

- **გრუნის ოფიციალურად მიენიჭა მაიკროსოფტის ტესტირების ცენტრის სტატუსი,** რამაც უნივერსიტეტს მისცა შესაძლებლობა ორგანიზება გაუკეთოს საერთაშორისო სასერტიფიკაციო გამოცდებს, მათ შორის Microsoft-ის მიმართულებით. ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ბაზაზე შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ ტრენინგების ჩატარება, არამედ ოფიციალური სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება და საერთაშორისო სერტიფიკატების მიღება. ცენტრის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება არის **Microsoft-ის სასერტიფიკაციო პროგრამები,** რომელთა ტრენინგები 100%-ით ეფუძნება Microsoft-ის ოფიციალურ რეკომენდაციებს, სტანდარტებსა და სასწავლო ჩარჩოს. ტესტირების ცენტრის ფარგლებში პირველმა ნაკადმა, მათ შორის გრუნის სამმა სტუდენტმა, წარმატებით დაასრულა Microsoft Excel-ის სასერტიფიკაციო კურსი და შესაბამისი გამოცდა.

მნიშვნელოვანი მოვლენები

- 13–18 ოქტომბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორებმა, მარიამ ლაშხმა და ვახტანგ ჭარაიამ მონაწილეობა მიიღეს **მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიურ შეხვედრაში (WB & IMF Annual Meetings 2025)**, რომელიც გაიმართა ქ. ვაშინგტონში. ღონისძიების ფარგლებში განხილულ იქნა მსოფლიო ეკონომიკური გამოწვევები, მდგრადი განვითარების, ფინანსური სისტემების, ხელოვნური ინტელექტისა და ფინანსური ტექნოლოგიების საკითხები და მრავალი სხვა. შეხვედრას 200-მდე ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა.

- აკადემიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, პროფესორ **ვლადიმერ პაპავას გრუნის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.** დაჯილდოების ცერემონიაზე ვლადიმერ პაპავამ წაიკითხა ლექცია: „ნეკროეკონომიკა, რეტროეკონომიკა და ზომბიეკონომიკა“. გრუნის რექტორმა, მამუკა თავხელიძემ, მადლობა გადაუხადა და აღნიშნა პროფესორ პაპავას მეცნიერული ღირებულება და სამეცნიერო წვლილი. ღონისძიებაზე ასევე გაიმართა ვლადიმერ პაპავას 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულის პრეზენტაცია: „ეკონომიკური მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა.

- 5-6 ივნისს ქ. თბილისის მერიის წლის ეკონომიკური ფორუმი გაიმართა, სახელწოდებით: „მშვიდობა მდგრადი განვითარებისთვის“. გრუნის პროფესორებმა, როგორც კონფერენციის პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, ფორუმის ერთ-ერთ პანელურ დისკუსიას უხელმძღვანელეს. დისკუსიას, რომელიც განიხილავდა განათლების როლს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში, წარმართავდა გრუნის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი, **პროფესორი ვახტანგ ჭარაია,** მონაწილეობდნენ პროფესორები: **თენგიზ თაქთაქიშვილი, მედი მაჯიდი, ხოსე რომერო, კეიშა მაბრი ჰეიმორი, გიგა თვაური და თამარ ბიწაძე.**

- 12 სექტემბერს **ეკონომისტთა VII ეროვნული კონფერენცია გაიმართა**, რომელიც საქართველოს ეროვნული ვალუტის შემოღების 30 წლისთავს მიეძღვნა. კონფერენციაში მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი, პროფესორი ვახტანგ ჭარაია, რომელმაც წარადგინა მოხსენება არასაბანკო საფინანსო შუამავლობის გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აკადემიური, სამთავრობო და საფინანსო სექტორის მაღალი რანგის წარმომადგენლები, ხოლო კონფერენცია ჩატარდა „ეკონომისტის დღის“ ფარგლებში, რომლის აღნიშვნაც საქართველოში ტრადიციულ ხასიათს ატარებს.

- **გრუნი, ჟენევის უნივერსიტეტის (შვეიცარია) მიერ ინიცირებული SDG Olympiad-ის გლობალური ქსელის პირველი პარტნიორია საქართველოდან.** აღნიშნული პარტნიორობა მოიცავს როგორც სტუდენტურ ინოვაციურ პროექტებში მონაწილეობას, ასევე მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ინტეგრაციას სასწავლო და კვლევით პროცესებში. პარტნიორობის ფარგლებში, GRUNI-ის სტუდენტურმა გუნდმა „ერთობა“ წარმატებით იასპარეზა SDG Olympiad-ის ფინალში ჟენევაში და მოიპოვა **Community-Based Award**, რაც უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების პრაქტიკულ ღირებულებასა და საზოგადოებრივ ზეგავლენაზე მიუთითებს.

- **გრუნის მდგრადი განვითარების ცენტრის** მიერ განხორციელებული ძირითადი ინიციატივები განთავსდა **გაეროს PRME-ის ოფიციალურ პლატფორმაზე (PRME Signatory Spotlight)**. აღნიშნული ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში პასუხისმგებლიანი მენეჯმენტის, ეთიკური ლიდერობისა და მდგრადი განვითარების პრინციპები, არა მხოლოდ დეკლარირებულ, არამედ რეალურად განხორციელებულ პოლიტიკას წარმოადგენს.

- 26 სექტემბერს გრუნიში გაიმართა საბავშვო წიგნის **„SDGs Storytelling“** პრეზენტაცია, რომელიც მდგრადი განვითარების თემატიკას ეძღვნება. გამოცემა შეიქმნა უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების ცენტრის ინიციატივით, **PRME-ის i5 ლიდერობის საგანმანათლებლო პროგრამის** ფარგლებში, ხოლო მისი მიზანია ბავშვებში მდგრადი განვითარების მიზნების გაცნობა და სოციალური პასუხისმგებლობის ცნობიერების ფორმირება.

- გრუნიმ უმასპინძლა **NATO Youth Summit 2025-ს,** რითაც კიდევ უფრო გაძლიერდა მისი როლი ახალგაზრდული ლიდერობის, უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთაშორისო დიალოგის ხელშეწყობის მიმართულებით.

- 7 ნოემბერს გრუნიმ უმასპინძლა საერთაშორისო **სავალუტო ფონდის ექსპერტებს ვაშინგტონის სათავო ოფისიდან:** ბორისლავა მირჩევასა და ბილალ თაბთის, აგრეთვე, სავალუტო ფონდის მუდმივმოქმედ წარმომადგენელს საქართველოში - **ენდრიუ ჯუველს.** შეხვედრის მიზანი იყო უახლესი ეკონომიკური ტენდენციების განხილვა, რომლებიც, თანამედროვე გამოწვევების პირობებში, გავლენას ახდენს გლობალური ეკონომიკის მდგრადობაზე, კერძოდ, საქართველოსა და მის რეგიონზე. სტუდენტებსა და პროფესორებს საშუალება ჰქონდათ დაესვათ კითხვები ექსპერტებისათვის და მიეღოთ ამომწურავი პასუხები მიმდინარე ეკონომიკური პროცესების შესახებ.

- 2025 წლის განმავლობაში გრუნიმ მნიშვნელოვნად გააფართოვა პარტნიორული ქსელი და გააძლიერა თანამშრომლობა როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. გაფორმდა **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები** მიკრობანკ **MBC**-თან, კომპანიებთან **Veza**, **Hotcard**, **ArtOa**, **Rovi**, **Tene**, **Gianthi Logistics**, ასევე **ევროპის აკადემიურ ცენტრთან**, **საქართველოს წითელ ჯვართან** და სხვა. აღნიშნული შეთანხმებები ითვალისწინებს სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიცემას, სტაჟირების პროგრამებს, ერთობლივ საგანმანათლებლო ინიციატივებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული კადრების მომზადებას.

- გრუნი გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის „კორპორაციული მდგრადობის ჯილდო 2025“-ის ფინალში მოხვდა მე-4 მიზნის – ხარისხიანი განათლების – ნომინაციაში. გრუნი გამოირჩა SDG პროექტების, ინოვაციური საგანმანათლებლო მიდგომებისა და მდგრადი მართვის პრაქტიკების საფუძველზე, სადაც გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები ინტეგრირებულია როგორც აკადემიურ პროგრამებში, ისე სტუდენტთა ინიციატივებსა და უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში.

- სტუდენტებისთვის ჩატარდა გასვლითი სასწავლო და საველე აქტივობები: **კახეთში (კაკაბეთი), დიდგორის ველზე, ასურეთში, მცხეთაში, ძალისის ნაქალაქარში, საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში, ოკაცეს კანიონზე, ჯავახეთში, ბათუმსა და აჭარაში**, ასევე **საერთაშორისო სასწავლო ტური კაბადოკიაში (თურქეთი)**, რაც პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების გაძლიერებას ემსახურებოდა.

- გრუნის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს **კურორტების განვითარების სააგენტოს მე-3 სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში.** ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა - მარიამ ურუშაძემ, კონფერენციაზე წარადგინა მოხსენება: „ბორჯომი ახალ როლში: ჯანმრთელობა, გართობა და კულტურა ერთ სივრცეში“, რომელმაც დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. კონფერენციას უძღვებოდა გრუნის ბიზნესისა და მართვის სკოლის ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი გივი ყუფარაძე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ პროფესორები: ნიკო კვარაცხელია და მაკა ფირანაშვილი.

- 25 მარტს საქართველოს საბანკო ასოციაციამ გრუნის სტუდენტებისთვის დაიწყო **სემინარების ციკლი**, გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. სემინარები მიზნად ისახავდა სტუდენტების გაცნობას საქართველოს საბანკო სექტორის საქმიანობასთან, მიმდინარე გამოწვევებსა და კიბერუსაფრთხოების საკითხებთან.

- საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით გაიმართა **სემინარი ფინანსური განათლების თემაზე,** რომელშიც ბიზნესისა და მართვის სკოლის წარდგინებით მონაწილეობდნენ გრუნის მაგისტრანტები. სემინარის ფარგლებში სტუდენტები გაეცნენ სებ-ის ფუნქციებსა და საფინანსო სექტორის საქმიანობას, მათ შორის ფინანსური ბაზრების სტაბილურობას, მომხმარებელთა უფლებებს, საბანკო და არასაბანკო ზედამხედველობას, ასევე საგადახდო სისტემებისა და თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების რეგულირების საკითხებს.

- 18–20 ივნისს რექტორის მოადგილე, **პროფესორი ვახტანგ ჭარაია**, მონაწილეობდა საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში, რომელიც გაიმართა სომხეთში, დილიჟანში, „ორბელის ცენტრის“ ორგნიზებით. ფორუმში მონაწილეობდნენ საქართველოსა და სომხეთის მაღალი რანგის წარმომადგენლები და დარგის ექსპერტები, ხოლო ღონისძიება მიზნად ისახავდა რეგიონული ეკონომიკური და პოლიტიკურ საკითხებზე პროფესიული დიალოგის გაღრმავებას.

- ტურიზმის სპეციალობის პროფესიონალებისა და სტუდენტებისთვის ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე **„ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობაზე დაფუძნებული მემკვიდრეობის დაცვა და ტურიზმის განვითარება“**, რომელსაც უძღვებოდა კიოტოს უნივერსიტეტის პროფესორი ნორიაკი ნიშიამა. ლექციის ფარგლებში განხილული იყო ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპები, ადგილობრივი თემების როლი ტურიზმის ინდუსტრიაში, პრაქტიკული მაგალითები და მათი ადაპტირების შესაძლებლობები საქართველოს კონტექსტში.

- მარკეტინგის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, ბიზნესისა და მართვის სკოლამ და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლამ, სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს სკოლის დასრულება მიულოცეს და მომავალ საგანმანათლებლო და პროფესიულ გზაზე წარმატებები უსურვეს. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავდა ახალგაზრდებთან კომუნიკაციის გაძლიერებას, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაცნობას და მათი მოტივაციის ამაღლებას შემდგომი განვითარებისათვის. წლის განამავლობაში მარკეტინგის გუნდმა საქართველოს მასშტაბით ათეულობით სკოლა შემოიარეს და დეტალურად გააცნეს გრუნის პროგრამები აბიტურიენტებს.

2025 წლის 23 ივნისს, ლიდერ ქალთა საზოგადოების ინიციატივით გამართულ ღონისძიებას, რომელიც ძუძუს კიბოს პრევენციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა, სტუმრის სტატუსით ესწრებოდა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი და გადაცემა „მონეტიზაციის“ წამყვანი, გიგა თვაური. ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მას გადაეცა სპეციალური ჯილდო და მადლობის სიგელი.

- 2025 წელს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო არაერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, მათ შორის: **AoM-ის (Academy of Management) საერთაშორისო კონფერენციაში (აშშ), პროგნოზირების 45-ე საერთაშორისო სიმპოზიუმში პეკინში, ADA-ს საერთაშორისო ფორუმში აზერბაიჯანში, ევროპის კულტურული ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციაში სიბიუში, UNWTO-ს ღვინის ტურიზმის გლობალურ კონფერენციაში, ლუქსემბურგისა და პარიზის სამეცნიერო ფორუმებში**, რაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის საერთაშორისო დონეზე წარმოჩენასა და ახალი აკადემიური თანამშრომლობების ჩამოყალიბებას.

- უნივერსიტეტის ბაზაზე ორგანიზებულ იქნა **საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები GlobELT 2025 და GLOBETS 2025**, რომლებშიც მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი მკვლევრები. გაგრძელდა **მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარები**, აგრეთვე ჩატარდა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები ეკონომიკის, მენეჯმენტის და ტურიზმის მიმართულებით. აღნიშნულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ახალგაზრდა მკვლევრების ჩართულობასა და უნივერსიტეტში კვლევითი კულტურის გაღრმავებას.

- საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დაარსების 15 წლის იუბილესა და საქართველოს ბოლონიის პროცესთან მიერთების 20 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ EQE-ს საერთაშორისო კონფერენციაში სპიკერის სტატუსით მონაწილეობდა გრუნის რექტორის მოადგილე, პროფესორი ვახტანგ ჭარაია, რომელმაც წარადგინა მოხსენება თემაზე: „ტრენდები და გამოწვევები მეცნიერების განვითარებაში.

გრანტები

- **Fulbright**-ის ფარგლებში განხორციელდა ამერიკელი სპეციალისტის კეიშა მარბის ჩართულობა უნივერსიტეტის სტარტაპ აქსელერაციისა და ინოვაციური განათლების მიმართულებით. ხოლო ერასმუს+ ფარგლებში ბიზნესისა და მართვის და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლებს კვლევითი ვიზიტით ეწვია ვიქტორ ხიმენეს რივერა **ტალინის უნივერსიტეტიდან.**

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და მილანის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, გრუნიმ გაიმარჯვა **საქართველოს კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF)** კონკურში, სახელწოდებით „მთის მდგრადი განვითარების სწავლება“.

- 2024 წლიდან გრძელდება მუშაობა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტზე: **“ჩრდილოვანი საბანკო სისტემის გავლენა ფინანსურ სტაბილურობაზე (ემპირიული კვლევა განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მაგალითზე)”,** რომელიც 2026 წელს სრულდება.

- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან ერთად, გრუნიმ გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ **2025 წლის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო საგრანტო კონკურსშიც,** პროექტით: „ფსიქოლოგიური სოციალური კეთილდღეობის გავლენა აკადემიურ მოსწრებაზე, ემპირიული კვლევა სტრუქტურული განტოლების გამოყენებით“.

- **გრუნიმ და GLOW Georgia**-მ გაიმარჯვეს აშშ-ის დემოკრატიული კომისიის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში შეტანილი ერთობლივი განაცხადით: „EmpowerHER: GLOWing Paths for Georgian Girls“. პროექტის მიზანია საქართველოში მცხოვრები გოგონების?? გაძლიერება ლიდერობის, მეწარმეობისა და ტექნოლოგიების მიმართულებით. გრუნის, კერძოდ კი, ბიზნესის სკოლის მონაწილეობა მოიცავს მეწარმეობის, ფინანსური განათლებისა და ინვესტიციების შესახებ ტრენინგების ჩატარებას ზამთრის ბანაკში, რომელიც დაკომპლექტებული იქნება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მე-9-მე-12 კლასის გოგონებით.

- გრუნის ბიზნესისა და მართვის სკოლამ წარმატებით დაასრულა **აშშ-ის საელჩოს საგრანტო პროექტი**, რომლის ფარგლებში ქართულ ენაზე ითარგმნა მსოფლიოში აღიარებული სახელმძღვანელო - **„კორპორაციული ფინანსების საფუძვლები“ (მეთერთმეტე გამოცემა)**. წიგნი აერთიანებს კორპორაციული ფინანსების თანამედროვე თეორიებსა და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებულ ქეისებს და წარმოადგენს მნიშვნელოვან აკადემიურ რესურსს ბიზნესისა და ფინანსების მიმართულებით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი სახელმძღვანელო საქართველოში 2007 წლის შემდეგ არ გამოცემულა.

კარიერული განვითარება

- წლის განმავლობაში გრუნიში ჩატარდა **ორი მასშტაბური დასაქმების ფორუმი 75-ზე მეტი კომპანიის მონაწილეობით,** რაც სტუდენტების კარიერული განვითარების და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას ემსახურებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ფორუმის გახსნა განხორციელდა ჰუმანოიდი რობოტის მონაწილეობით, რაც საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში პირველი პრეცედენტი იყო და ასახავს უნივერსიტეტის ინოვაციურ მიდგომას.

- გრუნი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტუდენტთა კარიერულ განვითარებას და პროფესიულ ზრდას. ამ მიზნით, **უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა დასაქმების მხარდამჭერი პრაქტიკა,** რომელიც იძლევა შესაძლებლობას, სტუდენტებმა პროფესიული გამოცდილება მიიღონ საკუთარ საგანმანათლებლო გარემოში. 2025 წელს ბიზნესისა და მართვის სკოლის მეორე კურსის სტუდენტი თიკო რობაქიძე დასაქმდა ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანის თანაშემწის პოზიციაზე, ხოლო საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის მეორე კურსის სტუდენტი ნინო ქობალია დაინიშნა საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანის თანაშემწედ.

სხვა აქტიურობები

- გრუნიმ **ტრენინგცენტრ „პროგრესის აკადემიასთან“ თანამშრომლობით** წარმატებით განახორციელა **პერსონალურ მონაცემთა დაცვის სასერტიფიკაციო კურსი**, რომელიც წლის განმავლობაში **ორჯერ ჩატარდა** ჰიბრიდული ფორმატით. კურსი მიზნად ისახავდა ადამიანური რესურსების მართვისა და საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენელთა პროფესიული კომპეტენციების გაღრმავებას **GDPR-ის სტანდარტებისა და პერსონალური მონაცემთა დაცვის** მიმართულებით, ხოლო სწავლების წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო **Erasmus+ აკადემიური მობილობის პროგრამებს**, როგორც სტუდენტების, რომლებიც გახდნენ სტიპენდიანტები, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. Erasmus+ ფარგლებში განხორციელდა აკადემიური ვიზიტები და მობილობები **გერმანიაში, პოლონეთში, იტალიაში, საფრანგეთში, აზერბაიჯანში, უნგრეთში.**

- რექტორის მოადგილე, პროფესორი ვახტანგ ჭარაია მონაწილეობდა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ევროპული თანამშრომლობის ასოციაციის - COST, სამეცნიერო კომიტეტის სხდომის მუშაობაში. მისი მოხსენება, გრუნისა და **COST**-ის თანამშრომლობას შეეხებოდა: "**Institutional Cooperation Between GRUNI and COST".** COST-ის სამეცნიერო კომიტეტის დელეგატებმა, სხდომის ფარგლებში, მიიღეს ინფორმაცია საქართველოში მეცნიერების მხარდამჭერი პროგრამების შესახებ.

აკრედიტაციები

2025 წელს ბიზნესისა და მართვის სკოლამ **მოამზადა 5 საგანმანათლებლო პროგრამა** და თითოეულმა 7 წლიანი უნაკლო აკრედიტაცია გაიარა, კერძოდ შემდეგმა პროგრამებმა:

- 3 წლიანი საბაკალავრო - **ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში** (ქართულ ენაზე);
- 3 წლიანი საბაკალავრო - **ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში** (ინგლისურ ენაზე);
- 1 წლიანი სამაგისტრო - **ბიზნესის მდგრადი ტრანსფორმაცია** (ინგლისურ ენაზე);
- 2 წლიანი სამაგისტრო - **მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტი** (ინგლისურ ენაზე);
- 3 წლიანი სადოქტორო - **მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტი** (ინგლისურ ენაზე).

2026 წლისთვის უკვე დაწყებულია მუშაობა და ACQUIN Interntational Accreditation-ის **საერთაშორისო აკრედიტაციის** ეტაპების მოლოდინშია დამატებით 7 ახალი პროგრამა:

- 3 წლიანი საბაკალავრო - **ინფორმაციული ტექნოლოგიები** (ინგლისურ ენაზე);
- 3 წლიანი საბაკალავრო - **კომპიუტერული მეცნიერებები** (ინგლისურ ენაზე);
- 3 წლიანი საბაკალავრო - **ხელოვნური ინტელექტი** (ინგლისურ ენაზე);
- 3 წლიანი საბაკალავრო - **ინფორმაციული ტექნოლოგიები** (ინგლისურ ენაზე);
- 2 წლიანი სამაგისტრო - **კომპიუტერული მეცნიერებები** (ინგლისურ ენაზე);
- 3 წლიანი საბაკალავრო - **ციფრული მარკეტინგი** (ქართულ ენაზე);
- 3 წლიანი საბაკალავრო - **ციფრული მარკეტინგი** (ინგლისურ ენაზე);
- 1 წლიანი სამაგისტრო - **ციფრული მარკეტინგი** (ინგლისურ ენაზე);
- 2 წლიანი სამაგისტრო - **ციფრული მარკეტინგი** (ინგლისურ ენაზე).

აღნიშნული პროგრამების აკრედიტაციის პროცესი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტს და მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ციფრული მიმართულებების გაძლიერებას.